

# ანალიტიკური წერა

## I ვარიანტი

ორი დავალება  
დრო – 1 სთ 10 წთ

## დავალება I – მსჯელობის ანალიზი

N რეგიონში მდებარე ტბა და მისი შემოგარენი წლების მანძილზე იზიდავდა ეკოტურიზმის მოყვარულებს. დამსვენებლები ღამეს ათევდნენ ტბის ნაპირას გაშლილ კარვებში, თევზაობდნენ, კოცონს ანთებდნენ და ა. შ. ამ ადგილმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ფრინველებზე დამკვირვებელთა შორის, რადგან ტბა ბოლო 20 წლის განმავლობაში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, გადამფრენ ფრინველთა თავშეყრის ადგილად იქცა.

ტურიზმის განვითარების მეტი ხელშეწყობის მიზნით ამ რეგიონის ხელმძღვანელობამ ტბის მახლობლად მდებარე ისტორიულ ღირსშესანიშნაობას – შუა საუკუნეების სასახლეს – რესტავრაცია ჩაუტარა და ტბის გარშემო არსებულ ტერიტორიაზე ხელოვნური პარკი გააშენა. ტურისტთა ტრანსპორტირებისათვის აღადგინეს ფრენები ადგილობრივ აეროპორტში, რომლებიც ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გაუქმებული იყო. ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ ცვლილებების შედეგად რეგიონში ტურისტთა რაოდენობამ კი არ იმატა, არამედ იკლო.

რეგიონის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მათ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა არ გაამართლა.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ამგვარი შედეგი. კრიტიკულად შეაფასეთ რეგიონის ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილი დასკვნა.

*ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.*

## დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

რეჟისორებმა ფილმებსა და სერიალებში არაპროფესიონალთა მოწვევისაგან თავი უნდა შეიკავონ, რადგან ისინი არ ფლობენ სამსახიობო ხელოვნებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ფილმისა თუ სერიალის ხარისხზე.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

*ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.*